

საფონდო ბირჟების გლობალიზაცია და მასზე მოქმედი ფაქტორები

DOI:10.36962/ECS105/11-12/2023-76

მზევინარ ნოზაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სტუ ასოც. პროფესორი
mzia_nozadze@yahoo.com

გიორგი თურმანიძე

სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

საფინანსო-საკრედიტო სისტემის რგოლებს შორის საფონდო ბირჟები განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. საფონდო ბირჟაზე ხორციელდება დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაცია და მისი ეფექტიანად განაწილება. საფონდო ბირჟის წესები დადგენილია როგორც ბირჟის (ბირჟის წესდება), ასევე სახელმწიფო კანონმდებლობით. საფონდო ბირჟებზე გარიგებების დიდი წილი სწორედ შუამავლებზე მოდის. საერთაშორისო ფინანსური, და მათ შორის, საბირჟო ურთიერთობები ვითარდება ეკონომიკური ურთიერთობების გლობალიზაციის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: საფონდო ბირჟები; ბირჟების გლობალიზაცია; გლობალიზაციაზე მოქმედი ფაქტორები.

შესავალი

ცნობილია, რომ საფონდო ბირჟა წარმოადგენს ქვეყნის ფინანსური ბაზრის განუყოფელ ნაწილს, სადაც ვაჭრობენ სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდებით. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით საფონდო ბირჟა წარმოადგენს ფინანსურ ინსტიტუტს, სადაც ხორციელდება გარიგებები მყიდველსა და გამყიდველს შორის საფონდო ფასეულობებით, ბირჟის შუამავლების მეშვეობით და გარკვეული წესების დაცვით.

საფონდო ბირჟის წესები დადგენილია როგორც ბირჟის (ბირჟის წესდება), ასევე სახელმწიფო კანონმდებლობით. საფონდო ბირჟებზე გარიგებების დიდი წილი სწორედ შუამავლებზე მოდის. საერთაშორისო ფინანსური, და მათ შორის, საბირჟო ურთიერთობები ვითარდება ეკონომიკური ურთიერთობების გლობალიზაციის პროცესში. გლობალიზაციამ - მსოფლიო ვაჭრობის და წარმოების განვითარებამ, კაპიტალის საერთაშორისო ნაკადების ზრდამ, საქონლის, მომსახურებისა და შრომითი რესურსების საერთაშორისო გადაადგილებამ - განაპირობა საერთაშორისო საფინანსო სისტემის, და მათ შორის, საფონდო ბირჟების განვითარება და საერთაშორისო ფინანსური საქმიანობის სხვა ასპექტების ჩამოყალიბება.

საბირჟო ოპერაციებისთვის დამახასიათებელია შემდეგი თავისებურებები:

- ოპერაციები ხორციელდება სპეციალურ სავაჭრო მოედნებზე;
- ახასიათებთ თავისუფალი ფასწარმოქმნა;
- გაყიდვები წარმოებს პარტიებით და ლოტებით;
- ოპერაციები ხორციელდება რეგულარულად;
- ოპერაციები ხორციელდება ძირითადად შუამავლების მეშვეობით;

- სახელმწიფო ბირჟების საქმიანობაში ერევა არაპირდაპირი გზით;

- ოპერაციები ხორციელდება შესაბამისი კანონმდებლობის და თვით ბირჟის წესდების მიხედვით.

თუმცა, ფინანსური გლობალიზაციის პროცესს თან სდევს მთელი რიგი ფაქტორების ჩამოყალიბება. „ფინანსური გლობალიზაციის ფონზე ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების გაზრდა მნიშვნელოვნად ზრდის ფინანსურ რისკს და გლობალური კრიზისების ალბათობას. ამის დასტურია ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ჩამოყალიბებული გლობალური და პრაქტიკულად უმართავი ფინანსური კრიზისები“.¹

¹ ნოზაძე მ. საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები. თბ; გამომც. „დანი“. გვ. 94.

მოკლედ განვიხილოთ მსოფლიოს წამყვანი საფონდო ბირჟები. **ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა** (New York Stock Exchange - NYSE) ყველაზე დიდი საერთაშორისო ფინანსური ცენტრია მსოფლიოში, მას ხშირად მოიხსენიებენ როგორც - მსოფლიო საბირჟო ბრუნვის გული. ნიუ-იორკი რჩება უმსხვილეს სავაჭრო ცენტრად სააქციონერო კაპიტალის და სასესხო კაპიტალის ბაზრებისთვის, მთელი მსოფლიოს მასშტაბით. თანამედროვე ეტაპზე ნიუ-იორკი კვლავ ინარჩუნებს მსოფლიოს წამყვანი ფინანსური ცენტრის სტატუსს. იგი წარმოადგენს მსოფლიოს უმსხვილესი ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, ჰეჯ-ფონდების, საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების კონცენტრაციის ადგილსამყოფელს.

ამასთან, ნიუ-იორკში არსებობს მსოფლიოს ორი ყველაზე დიდი ბირჟა: NYSE (ინგლ. New York Stock Exchange) და NASDAQ (ინგლ. National Association of Securities Dealers Automated Quotations). ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა (NYSE) - მდებარეობს ნიუ-იორკში, იგი მსოფლიოში უდიდესი საფონდო ბირჟაა, ბირჟაზე კოტირებადი ფასიანი ქაღალდების მთლიანი საბაზრო კაპიტალიზაციის მიხედვით¹.

ლონდონის საფონდო ბირჟა (ინგლ. London Stock Exchange; LSE) - მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი საფონდო ბირჟაა (დაფუძნდა 1571 წელს). ამასთან, იგი ევროპის უმსხვილესი და გაერთიანებული სამეფოს მთავარი ბირჟაა. 2018 წლის აპრილის მონაცემებით, მისი საბაზრო კაპიტალიზაცია შეადგენს 4.59 ტრილიონ აშშ დოლარს. იგი წლების განმავლობაში უწევს კონკურენციას ნიუ-იორკის საფონდო ბირჟას - საბაზრო კაპიტალიზაციის, ვაჭრობის მოცულობის, ბაზრის ლიკვიდურობის თვალსაზრისით. ამასთან, ექსპერტების დიდი ნაწილი განასხვავებს ლონდონის საფონდო ბირჟის ორ ძირითად სახეობას: 1. **Premium Listed Main Market (60 ქვეყნიდან 1,500 ათას კომპანია)** და 2. **Alternative Investment Market (3 ათასზე მეტი კომპანია)**.

¹ ნოზაძე მ. საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები. თბ; გამომც. „დანი“. გვ. 122.

ტოკიოს საფონდო ბირჟა (ინგლ. Tokyo Stock Exchange, TSE) იაპონიის უმსხვილესი ბირჟაა (დაფუძნდა 1878 წელს). 2020 წლის ივნისის მდგომარეობით, ბირჟაზე იყო რეგისტრირებული 3,700 კომპანია, რომელთა საბაზრო კაპიტალიზაცია 5. 6 ტრილიონ აშშ დოლარს აღემატება.

Nikkei მოიცავს ქვეყნის 225 უმსხვილეს კომპანიას და დივერსიფიკაციის მიხედვით საუკეთესოდ ითვლება მსოფლიოში. აღნიშნული ინდექსი მოიცავს 35 სექტორს, რომელთაგან ყველაზე მეტი ხვედრითი წილი მოდის ელექტრონობასა და ელექტრონიკაზე; ქიმიურ სექტორზე - 18 კომპანია, მანქანათმშენებლობა - 16, აგრეთვე 11 ბანკი და 9 ავტომობილების მწარმოებელი კომპანია.

შანხაის საფონდო ბირჟა (ინგლ. Shanghai Stock Exchange-SSE) უმსხვილესი საფონდო ბირჟაა ჩინეთში. ეს არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩინეთის ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კომისია (ინგლ. China Securities Regulatory Commission. CSRC). აქციების, ობლიგაციების და წარმოებულების ვაჭრობა ხდება ბირჟაზე. შანხაის საფონდო ბირჟა (SSE) უმსხვილესი ბირჟაა ჩინეთში. შანხაის საფონდო ბირჟის მთლიანი საბაზრო კაპიტალიზაციის უმეტესი ნაწილი შედგება ყოფილი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიებისგან, როგორიცაა: მსხვილი კომერციული ბანკები და სადაზღვევო კომპანიები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩინურმა გიგანტმა - Alibaba Group 2014 წელს NYSE-ზე განათავსა თავისი აქციები 25 მილიარდ დოლარად, ეს იყო ყველაზე მსხვილი საჯარო განთავსება მსოფლიო საფონდო ბირჟის ისტორიაში.

სინგაპურის საფონდო ბირჟა (ინგლ. Singapore Exchange, SGX) - ყველაზე ახალგაზრდა და პატარა ბირჟაა აზიის ქვეყნებში. სინგაპურის ბირჟა დაფუძნდა 1999 წელს და შემდეგ თანდათანობით შეითავსა საფონდო, სავალუტო, სასაქონლო და საკლირინგო პლატფორმის ფუნქციები. ბირჟა მნიშვნელოვან როლს ასრულებს აზიის საფონდო ბაზარზე და ფლობს წილებს სხვა ქვეყნების საბაზრო სტრუქტურებში.

ჰონგ-კონგის საფონდო ბირჟა (ინგლ. Stock Exchange of Hong Kong, SEHK) - საფონდო ბირჟაა მაღალი კაპიტალიზაციით. 2000 წლიდან მის შემადგენლობაში შედის კიდევ ორი სტრუქტურა: Hong Kong Exchanges და Clearing Limited (HKEX).

მის შემადგენლობას ასევე დაემატა ახლადშექმნილი კომპანიები: Hong Kong Securities Clearing Company Ltd და ფიუჩერსებით ვაჭრობის პლატფორმა - Hong Kong Futures Exchange Ltd. ისინი ერთად ქმნიან მძლავრ ფინანსურ სტრუქტურას, რომელიც მეორეა შემოსავლების სიდიდით აზიაში, ხოლო ამერიკასა და ევროპაში - NYSE, NASDAQ და Euronext-ი.

სინგაპურის ბირჟაზე ვაჭრობა წარმოებს ძირითადად ადგილობრივ ვალუტით, აშშ დოლარით და ჩინური იუანით. შედეგად, საბირჟო პლატფორმაზე მთლიანი აქციების 40% უცხოური კომპანიების აქციებზე მოდის.

იმისათვის, რომ ნებისმიერი ქვეყნის საფონდო ბირჟა აქტიურად ჩაერთოს გლობალური ფინანსური ინსტრუმენტების და მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მოძრაობაში - საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, საფონდო ბირჟებს უნდა გააჩნდეთ ამისათვის აუცილებელი ყველა პირობა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერნეტმა და ელექტრონულმა ვაჭრობამ გააფართოვა გეოგრაფიული საზღვრები და მოახდინა რევოლუცია ინვესტიციებში, არა მხოლოდ ვაჭრობისთვის ახალი გზების გახსნით, არამედ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით, რომელიც ოდესღაც მხოლოდ პროფესიონალი ინვესტორების ექსკლუზიურ მიღწევად ითვლებოდა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ, თანამედროვე საფონდო ბირჟების საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევრო-ობლიგაციების ბაზარი. ევროობლიგაციების ბაზარზე მთავარი მონაწილეები არიან: სახელმწიფოები, კორპორაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები. აღსანიშნავია, რომ ევრო-ობლიგაციური სესხების დაახლოებით 2/3 წილი მოდის ტრანს-ნაციონალურ კორპორაციებზე და ბანკებზე. „დღეისათვის,

საერთაშორისო ობლიგაციების ბაზარზე ახალი გამოშვების 80%-ზე მეტი ევროობლიგაციაა და ამ ფასიანი ქაღალდების ბაზარი სწრაფად იზრდება. შედეგად, ევროობლიგაციების ბაზარი ახლა უფრო დიდია, ვიდრე აშშ-ს კორპორატიული ობლიგაციების ბაზარი“.¹

ხვალინდელი გლობალური ინვესტორები შეძლებენ ტრანზაქციების დასრულებას უფრო ეფექტურად და ეკონომიურად, ვიდრე ოდესმე, რადგან გაუმჯობესებული ტექნოლოგია და გაზრდილი კონკურენცია ამცირებს ტრანზაქციულ ხარჯებს თითქმის ნულამდე. ამიტომ, ფულადი ნაკადების შესანარჩუნებლად, ბირჟებმა უნდა გააუმჯობესონ თავიანთი მომსახურება ისე, რომ მოხდეს ღირებულების მატება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედროვე საფონდო ბირჟებზე ვაჭრობა ძირითადად ხორციელდება ელექტრონული სავაჭრო ტერმინალების მეშვეობით. თუმცა, „ბლოკჩეინის ტექნოლოგიის განვითარების საწყის ეტაპზე, მსოფლიო საფონდო ბირჟებზე დღეისათვის არსებობს ყველა პირობა იმისთვის, რომ საბირჟო ვაჭრობასა და საბირჟო ანგარიშსწორებაზე ბლოკჩეინის ტექნოლოგია გავლენას მოახდენს და, იმაზე მეტადაც კი, ვიდრე ტრადიციულ სავალუტო ბაზრებზე“².

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საფონდო ბირჟების გლობალიზაციის, როგორც განვითარების თვისობრივად ახალი ეტაპის ჩამოყალიბება, განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

- ტრანსნაციონალური კომპანიების (ინგლ. Transnational Corporations, TNCs) საქმიანობის გაფართოება - პირდაპირი ინვესტიციების ჩათვლით და მათი დივერსიფიკაცია;
- ტრანსნაციონალური ბანკების (ინგლ. Transnational Banks, TNBs) და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობის მასშტაბების ზრდა და მათი უნივერსალიზაცია;
- საერთაშორისო საბანკო დაკრედიტების და ფასიანი ქაღალ-

1 Financial Markets and Institutions (9th Global Edition). Frederic S. Mishkin, Stanley Eakins. 2018. Pp. 61.

2 ნოზაძე მ. ფინანსური ინვესტიციები. გამომც: დანი. თბ; 2019. გვ. 71.

ლდების ბაზრის გაფართოება და დივერსიფიკაცია;

- განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ფინანსური ბაზრების, მათ შორის - ევროვალუტის, ევროობლი-გაციების და სხვა ბაზრების ჩამოყალიბება და განვითარება;

- საერთაშორისო ლიკვიდური ფინანსური ინსტრუმენტების, აგრეთვე ინსტიტუციონალური კრედიტორების და ინსტიტუ-ციონალური ინვესტორების რიცხოვნობის ზრდა - სადაზღვევო, საპენსიო, სატრასტო, საინვესტიციო და ჰეჯ-ფონდების სახით;

- თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების, მასობრივი ინ-ფორმაციის და კომუნიკაციების საშუალებების დანერგვა და ფართო გავრცელება.

მოკლედ, საფონდო ბირჟები განვითარებად ქვეყნებში მთელს მსოფლიოში ვერ გადაურჩებიან ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიის გლობალიზაციას, თუ ისინი არ გაამახვილებენ ყუ-რადღებას მათი გამჭვირვალობის, მთლიანობისა და ეფექტუ-რობის გაუმჯობესებაზე.

დასკვნა

საფონდო ბირჟის მნიშვნელოვანი როლი გლობალურ ფი-ნანსურ სისტემაში გლობალიზაციის პროცესის შედეგად შეი-ძინა, რამაც მთელი XX საუკუნის განმავლობაში ხელი შეუწყო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ინფრასტრუქტურის ჩამოყა-ლიბებასა და განვითარებას. დღეს ბევრი მკვლევარი თვლის, რომ მსოფლიო საფონდო ბაზარი ამჟამინდელ მდგომარეობაში გლობალიზაციის პროცესის ბუნებრივი შედეგია. ამ მოსაზრე-ბას ვეთანხმებით, შეგვიძლია დავამატოთ, რომ, პირველ რიგში, მსოფლიო საფონდო ბაზარი ეროვნულ ბირჟებს შორის კონკუ-რენციის შედეგია. მსხვილი მოთამაშეების არსებობა აუცილე-ბელს ხდის მცირე ბირჟების გაერთიანებას, რაც ბუნებრივად ინვესტ ბაზრის ინტეგრაციას. კონკურენცია ახალ საერთაშო-რისო დონეს აღწევს. ინტერნეტ ვაჭრობის ტექნოლოგიის და-ნერგვა გავლენას ახდენს ფინანსური ნაკადების მოძრაობაზე, რომელიც მნიშვნელოვნად იზრდება და მატულობს ბირჟებზე ვაჭრობის მოცულობის მნიშვნელობა, რაც ასახავს ბაზრის გა-

ნვითარებას და ფასიანი ქაღალდების მიმართ ინტერესს შიდა და უცხოელი ინვესტორების მხრიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნოზაძე მ. საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები. თბ; გამომც. „დანი“. გვ. 94.
2. ნოზაძე მ. საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები. თბ; გამომც. „დანი“. გვ. 122.
3. Financial Markets and Institutions (9th Global Edition). Frederic S. Mishkin, Stanley Eakins. 2018. Pp. 61.
4. ნოზაძე მ. ფინანსური ინვესტიციები. გამომც: დანი. თბ; 2019. გვ. 71.

REFERENCES:

1. Nozadze M. International Monetary, Financial and Credit Relationships. “Dani” publishing house. 2021. P. -94.
2. 1. Nozadze M. International Monetary, Financial and Credit Relationships. “Dani” publishing house. 2021. P. -122.
3. Financial Markets and Institutions (9th Global Edition). Frederic S. Mishkin, Stanley Eakins. 2018. Pp. 61.
4. Nozadze M. Financial Investments. “Dani” publishing house. 2019. p. - 71.

GLOBALIZATION OF STOCK MARKETS AND THE FACTORS AFFECTING IT

Mzevinar Nozadze,

Academic Doctor of Economics,
Associate Professor of GTU;

Giorgi Turmanidze,

PhD student of GTU

RESUME

Stock exchanges occupy a special place among the links of the financial and credit system. Mobilization of temporarily free cash and its effective distribution is carried out on the stock exchange.

The financial market is an extremely complex and multifaceted structure, where the following participate: 1. Market infrastructure institutions; 2. Financial intermediaries; 3. Consumers of financial services.

It is important to note that trading on modern stock exchanges is mainly carried out through electronic trading terminals. However, in the world stock markets today, all the conditions exist for stock trading and stock exchange settlement to be affected by blockchain technology, and even more so than traditional currency markets.

One of the important benchmarks for investors and speculators in organized stock markets to make transactions is the stock market index. Stock market indices are directly related to share prices and are calculated based on the value of shares (in appropriate proportions) included in the base for calculating the index.

Thus, the participants of the financial market and the instruments circulating in the market, which serve its various types of operations and segments, are characterized by great diversity at the modern stage. Therefore, it is necessary to go through the listing procedures on the stock exchanges and trade in the securities of only those issuers that meet the established requirements, which include financial indicators of the issuer, level of liquidity and degree of risk.

Keywords: stock markets; globalization of exchanges; Factors affecting globalization.